წერილი გამოქვეყნდა ჟურნალ ააფ-ის მე-10-ე ნომერში, რომელიც ხელმოწერილია დასაბეჭდად 2022 წლის 15 ნოემბერს, - სახელწოდებით: „მხარს არ ვუჭერ ბაფის დამოუკიდებლობის დაკარგვის შემოთავაზებულ მცდელობას“

საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის (ბაფის) წევრების საყურადღებოდ!

ბაფის გამგეობის წევრის მურად ნარსიას მოსაზრებები
ბაფის გამგეობის მიერ წევრებისათვის შეთავაზებული
ბაფის წესდებაში ცვლილებების განხორციელების
საკითხებზე

მოგეხსენებათ, ბაფი (საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია), რომელსაც ფუნქციონირების 27-წლიანი ისტორია აქვს, უნიკალური აქტივია საქართველოში დასაქმებული პროფესიონალი ბუღალტრებისა და აუდიტორებისათვის, ბიზნესისათვის, ხელისუფლებისათვის, მთლიანად ქვეყნისათვის. მას საკმაოდ მნიშვნელოვანი ფუნქციის შესრულება შეუძლია ამ პროფესიის განვითარებისათვის, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ბოლო პერიოდში, ორგანიზაცია პოზიციებს თმობს, ამცირებს პროაქტიურობის ხარისხს, გადასულია თავდაცვის რეჟიმში.

გავითვალისწინე რა აღნიშნული მდგომარეობა, კოლეგა აუდიტორების თხოვნით, 2020 წლის 26 ნოემბერს გავააქტიურე ჩემი კანდიდატურა ბაფის გამგეობის წევრობის კანდიდატად, შევადგინე შესაბამისი სამოტივაციო წერილი და მივიღე მონაწილეობა ბაფის გამგეობის წევრად არჩევის მიზნით. 2020 წლის 12 დეკემბერს ბაფის 111 წევრმა მხარი დაუჭირა ბაფის გამგეობის წევრად ჩემს კანდიდატურას და დავიწყე სამოტივაციო წერილში (იხ. https://www.gfpaa.ge/site/index.php?tid=1&color=blue&lid=1&sid=1&artid=326#_Toc57735942) გაცხადებული ვალდებულებების შესაბამისი აქტივობების განხორციელება. ჩემ მიერ ორგანიზებულ აქტივობებსა და მის შედეგებზე ამ სტატიაში არ შევაჩერებ თქვენს ყურადღებას, რადგან დღეს აქტუალურია ბაფის წესდებაში ის ცვლილებები, რომელიც, ამ სფეროში „მსოფლიოს საუკეთესო პრაქტიკით“ „შეფუთული“ ფორმით, ინიცირებული იყო ბაფის რამოდენიმე დამფუძნებლისა და ბაფის გამგეობის ამჟამინდელი თავმჯდომარის მიერ და მისი გამგეობაზე განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება (გამგეობის 11 წევრიდან სამმა წევრმა მხარი არ დაუჭირა, ხოლო ერთმა თავი შეიკავა. გამგეობის 7 წევრმა მხარი დაუჭირა ბაფის 3 დამფუძნებლისა და თავმჯდომარის მიერ წესდებაში შემოთავაზებულ ცვლილების პროექტს) ამჟამად შეთავაზებულია ბაფის წევრებისათვის 2022 წლის 24 დეკემბრის საერთო კრებაზე განხილვისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

ქვემოთ გთავაზობთ ბაფის წესდებაში ბაფის საერთო კრებაზე (24.12.2022 წ.) წევრებისათვის ამ ცვლილებებთან დაკავშირებით შემოთავაზებულ პროექტზე ჩემს მიერ, ბაფის გამგეობის თავმჯდომარის, გამგეობის წევრების, დამფუძნებლების , ბაფის კონსულტანტების საყურადღებოდ, სხვადასხვა ფორმატში ოფიციალურად გამოხატულ მოსაზრებებს:

I. ქ-ნო რუსუდან, ბატონო ლავრენტი, კოლეგებო (გამგეობის წევრებს და ბაფის კონსულტანტებს მივმართავ), მოგესალმებით!
კმაყოფილება მინდა გამოვხატო იმის გამო, რომ ბაფის წესდებაში შესაძლო ცვლილებების პროექტზე გამგეობის ორ სხდომაზე (2022 წლის 27 მაისს და 2 ივნისს) მომეცა შესაძლებლობა გამომეხატა ჩემი მოსაზრება, აგრეთვე იმის გამო, რომ მქონდა შესაძლებლობა მომესმინა ბ-ნ რევაზ ძაძამიას, ბ-ნ ლავრენტი ჭუმბურიძის, ბ-ნ კონსტანტინე დათიაშვილის, ქალბატონების რუსუდან ჟოჟოლიანის,

მზევინარ გურაბანიძის, თამარ ცუხიშვილის, ბატონების დავით პაპიაშვილის, ნოდარ ებანოიძის, ნიკოლოზ ბაკაშვილის, თემურ ფარცხალაძის მოსაზრებები, გავცნობოდი კარგ საერთაშორისო პრაქტიკასთან დაკავშირებულ მასალებს, საქართველოს კანონმდებლობას, მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილ წესდების პროექტს სამართლებრივი ექსპერტიზა არ ჰქონდა გავლილი (კარგი იქნება, თუ მომავალში მაინც გამოსწორდება ეს ხარვეზი არა მარტო ამ პროექტთან მიმართებაში). გაცნობებთ, რომ ცალსახად ჩამოვყალიბდი შემდეგ მოსაზრებაზე:

წესდებაში ცვლილებების პროექტის 9.3 მუხლი (სხვა მუხლებთან დაკავშირებით ჩემი მოსაზრებები და კომენტარები შეგიძლიათ იხილოთ ქვემოთ) ზედამხედველობის სამსახურის წარმომადგენლის გამგეობის წევრად დანიშვნასთან დაკავშირებით მიუღებელია, მიზანშეუწონელი და სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია - ის აკნინებს და მნიშვნელოვნად ზღუდავს ბაფის ფუნქციონირების ფუნდამენტალურ პრინციპს - დამოუკიდებლობას!

დიახ, დამოუკიდებლობის აქტივის „ლანგარზე მირთმევა“ ზედამხედველობის სამსახურისათვის, რომელსაც ბაფის მენეჯმენტზე, ბაფის და ბაფის გამგეობის წევრებზე ზეგავლენის (ზედამხედველობა, მონიტორინგი, ჯარიმები, შეზღუდვები, რეგისტრაციიდან ამოღების უფლება და სხვა) ლეგიტიმური ინსტრუმენტები განივთებულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ კანონში, შესაბამის კანონქვემდებარე აქტებში, წარმოუდგენელია და ის შეუძლებელია პოზიტიური შედეგის მომტანი იყოს, მაშინაც კი, თუ ზედამხედველობა დათანხმდა (წესით, არ აქვს დათანხმების საფუძველი) ასეთ შეთავაზებას (ამაზე ბ-ნმა კონსტანტინე დათიაშვილმა გამოხატა მოსაზრება, მაგრამ...). დიახ, არის ფუნდამენტური საკითხები, რომელიც არ უნდა დავთმოთ, მით უფრო საკუთარი ნებით!

შესაძლოა ამ საკითხთან დაკავშირებით მე და რამოდენიმე ჩემი კოლეგა უმცირესობაში დავრჩეთ, მაგრამ ესეც ნორმალურია, ეს ავითარებს ქვეყანასაც და პროფესიასაც.

იმედი მაქვს, ჩემს კოლეგებს, ბაფის გამგეობის წევრებს, თითოეულს ინდივიდუალურად, ექნებათ გაცნობიერებული და სისტემურად გააზრებული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა და გაითვალისწინებენ იმას, რომ ეს არის გარკვეული ტესტი (მისი ხედვის და დამოკიდებულების მაიდენტიფიცირებელი) გამგეობის თითოეული წევრისათვისაც. (მურად ნარსია, 08.06.2022 წ. წერილი)

II. წესდებაში ცვლილების პროექტის ცალკეულ მუხლებზე ბაფის გამგეობის თავმჯდომარის, გამგეობის წევრებისა და დამფუძნებლების საყურადღებოდ მ. ნარსიას მიერ გააქტიურებული შენიშვნა/რეკომენდაციები, რომლებიც არ იქნა გათვალისწინებული ბაფის გამგეობის მიერ

1. წესდებაში ცვლილების პროექტის მუხლი 9.3:
   გამგეობა შედგება არაუმეტეს 12 არჩეული და ერთი დანიშნული წევრისაგან.

ჩემი კომენტარი:

ამ 9.3 მუხლში სიტყვები: „ერთი დანიშნული წევრისაგან“ აბსოლუტურად მიუღებელია, რადგან ეს თვითშეზღუდვაა ბაფის გამგეობის წევრებისათვის პროფესიული აზრის თავისუფლად გამოხატვის ნაწილში. ამ შემთხვევაში ბაფის გამგეობა შეიძლება გადაიქცეს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის დანამატად (საცდელ მოსათვინიერებელ პოლიგონად) და რაც მთავარია შეიზღუდება ბაფის დამოუკიდებლობა, რომელიც განივთებულია ბაფის დღეს მოქმედ წესდებაში. ანუ მოხდება სამსახურის შეზრდა ბაფში. ამ მუხლს მხარი არ დაუჭირა გამგეობის 3 წევრმა, ერთმა კი თავი შეიკავა. წესდებაში ცვლილების ამ რედაქციას

მხარი დაუჭირა ბაფის გამგეობის 7 წევრმა, რომელიც გახდა საფუძველი ამ ცვლილების საერთო კრებისათვის შეთავაზების.

წესდებაში ცვლილების მუხლი 9.3 მუხლს, მის თანმდევ შესაბამის მუხლებს: 9.14; 9.15; 9.16; 9.17; 9.18 და 9.19 მუხლებს მხარი არ დავუჭირე, არ ვუჭერ და არც კრებაზე დავუჭერ, რადგან ასეთი ასეთი შინაარსის შეთავაზება სულაც არ არის „საუკეთესო პრაქტიკა". საუკეთესო პრაქტიკის ნაწილში ეს წინადადება, რბილად რომ ვთქვათ, არასწორადაა ინტერპრეტირებული ბაფის ზოგიერთი დამფუძნებლის მიერ. ასევე საყურადღებოდ და არსებითად მიმაჩნია გამგეობის სხდომაზე საკითხის განხილვისას დეკლარირებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბაფის წესდებაში შესატანი ცვლილებები არ არის ცნობილი (შესაბამისად არ გვაქვს ინფორმაცია ამ საკითხისადმი სამსახურის დამოკიდებულებაზე-ასეთი განცხადება გაკეთდა გამგეობის სხდომებზე) ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისთვის.

2. წესდებაში ცვლილების მუხლი 9.4:

გამგეობის თავმჯდომარეობის და გამგეობის წევრობის კანდიდატები კენჭს იყრიან პირადი განცხადების საფუძველზე. ეს პირები ვალდებული არიან საერთო კრების ჩატარებამდე მინიმუმ ორი კვირით ადრე ფედერაციის სამდივნოს ჩააბარონ: პირადი ხედვა - სამოტივაციო წერილი, ფედერაციის საქმიანობაში მონაწილეობისა და წვლილის შესახებ.

ჩემი კომენტარი/რეკომენდაცია:

სამოტივაციო წერილი უნდა მოიცავდეს (თან ერთვოდეს) გამგეობის წევრის კანდიდატის სამოქმედო გეგმას. ამ საკითხზე მოსაზრება იმის შესახებ, რომ შესაძლოა ზოგიერთი კანდიდატი არ იცნობდეს ბაფის გამგეობის/ მენეჯმენტის საქმიანობას და ამიტომ შესაძლოა ვერ შეძლოს სამოქმედო გეგმის შედგენა, უსაფუძვლოა, რადგან მოტივირებული, ბაფის მართვის პროცესებში მონაწილეობის ამბიციის მქონე გამგეობის წევრ კანდიდატს უნდა ჰქონდეს ასეთი ცოდნაც და ხედვებიც, წინააღმდეგ შემთხვევაში ის მოგვევლინება/იქცევა პროცესებზე უმოქმედო დამკვირვებლის ამპლუაში, გაუცნობიერებლად, მისთვის უცნობ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებისას ხმას მისცემს გაუცნობიერებლად, ხოლო ზოგიერთი ისე ამოწურავს არჩევიდან საქმიანობის ორწლიან პერიოდს, რომ ეს, ვთქვათ 170 ბაფის წევრის ხმით მანდატის მქონე გამგეობის წევრი ვერც გაიცნობიერებს თუ რას აკეთებდა (შესაძლოა იმასაც, თუ სად იყო) მთელი ორი წელი. ანუ ის იქცევა ბრმა იარაღად, რიგი შესაძლო არასწორი და არაეფექტიანი გადაწყვეტილებების „გამტარად", შეთავაზებული გამგეობის სხდომის პროექტზე ბრმა ხელმომწერად, რომელიც მიუღებელიცაა და საშიშიც **შესაძლო „სიბრიყვის" მაღალი ხარისხის გამო.**

3. წესდებაში ცვლილების პროექტის მუხლი 9.7:

გამგეობის წევრად (გარდა თავმჯდომარისა) არჩეული უნდა იყოს არაუმეტეს:

9.7.1 ერთი წევრისა აკადემიური სექტორიდან, რომელთანაც ფედერაციას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი;

ჩემი კომენტარი/რეკომენდაცია:

უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენელი შესაძლებელია არჩეულ იქნას იმ შემთხვევაში, თუ ეს საწავლებელი ამზადებს ბუღალტრებს, აუდიტორებს და ფინანსისტებს, ამ სასწავლებლის ამ სპეციალობის სტუდენტთა კონტიგენტი აღემატება 700 სტუდენტს, ხოლო ბაფის გამგეობის წევრობის კანდიდატს ამ უმაღლესი სასწავლებლიდან აქვს ბუღალტრული, ფინანსურ და აუდიტორულ ბაზარზე პრაქტიკული საქმიანობის სტაჟი, უმაღლეს სასწავლებელში ასწავლის ზემოაღნიშნულ საგნებს. სხვა შემთხვევაში შესაძლოა გამგეობაში წევრად მივიღოთ არქიტექტორი, ისტორიკოსი ან არქეოლოგი, რომელიც ისე დაამთავრებს გამგეობის წევრობის ორწლიან პერიოდს, რომ პროფესიული

საკითხების განხილვისას პროცესს მიადევნებს თვალყურს გაუცნობიერებლად. ეს მოთხოვნები თუ არ განივთდა ამ ჩანაწერში, დიდი ალბათობით, ამ ტიპის არჩეული გამგეობის წევრი გახდება ადვილად მართვადი და იქნება საფრთხის შემცველი, რადგან ის, დიდი ალბათობით, ვერ იქნება ბაფის, მისი წევრების მდგრადი განვითარების განჭვრეტისა და შესაბამისი ღონისძიებების განმახორციელებელი.

4. წესდებაში ცვლილების პროექტის მუხლი 9.7.2:

ორი წევრისა ბიზნესში (გარდა აუდიტორისა/აუდიტორულ ფირმაში დასაქმებულისა) დასაქმებული ბუღალტრებიდან;

ჩემი კომენტარი/რეკომენდაცია:

აქ უნდა შეირჩეს ACCA-ის კურსდამთავრებული და ბიზნესში დასაქმებული ფინანსური დირექტორი (შეიძლება ბუღალტერი იყო და შემდეგ დააწინაურეს) ან ბაფის წევრი პროფესიონალი ბუღალტერი. ერთი და არა ორი!

5. წესდებაში ცვლილების პროექტის მუხლი 9.7.3:

ორი წევრისა ფედერაციის კორპორაციული წევრი დიდი ოთხეულიდან.

ჩემი კომენტარი/რეკომენდაცია:

დიახ, ვიზიარებ, რომ „დიდი ოთხეულისაგან“ ერთი მაინც იყოს გამგეობაში, რადგან ამ წარმომადგენლის საქმიანობა გამგეობაში აამაღლებს გამგეობის პროფესიულ თამასას, მართვის კორპორატიულ დონეს, ეთიკას და ხელს შეუშლის **პრიმიტივიზმის/პროვინციალიზმის ატმოსფეროს** (გარემოს) ფორმირებას. ამასთან უნდა გავითვალისწინოთ, რომ „დიდი ოთხეულის“ ბრუნვების ხვედრითი წელი აუდიტორულ ბაზარზე არანაკლებ 60%-ია, ამიტომ, ამ ჯგუფიდან ერთზე მეტი რაოდენობის ყოფნა ბაფის გამგეობაში წევრად მიზანშეუწონელია. მათ მიერ ბაფში კორპორატიული წევრობისათვის შეტანილი საწევროს სიდიდით არ შეიძლება განისაზღვროს ბაფში მათი წევრების რაოდენობა, რადგან შედარებით დიდი საწევრო თუ შემოაქვთ (ასე მოუწიათ დადგენილი %-ის მიხედვით), ისინი ამის შესაბამის წილსაც იღებენ საქართველოს აუდიტორული და ფინანსური ბაზრიდან, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი საზღვარგარეთ ირიცხება, რომელსაც ქვეყნის სავალუტო რეზერვებიც ხმარდება. გარდა ამისა, ვფიქრობ, გასააქტიურებელია „დიდ ოთხეულში“ შემავალი აუდიტური კომპანიებთან ბაფის თანამშრომლობა იმ მიზნით, რათა ისინი, მათი უნიკალური რესურსების წყალობით, ბაფის წევრებისათვის ატარებდნენ პრაქტიკით გაჯერებულ საინტერესო ხასიათის სემინარებსა და ტრეინინგებს, ახორციელებდნენ სხვა აქტივობებს ბიზნესის, აუდიტორული და ფინანსური ბაზრის კვლევის, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებისა და დაინტერესებული მიზნობრივი ჯგუფებისათვის მიწოდების თვალსაზრისით. ვთვლი, რომ ეს კატეგორია აუდიტური კომპანიებისა უნიკალური აქტივია ქვეყნისათვის, მისი საინვესტიციო აქტივობისა და საერთოდ აუდიტორული ბაზრის განვითარებისათვის, რადგან დღის წესრიგში უნდა დადგეს მათთან პროფესიული თანამშრომლობის (ერთობლივი პროექტები ფინანსურ აუდიტსა და სხვა საკითხებზე მცირე და საშუალო ზომის აუდიტორულ კომპანიებთან თანამშრომლობის მეშვეობით) გააქტიურების საკითხები.

6. წესდებაში ცვლილების პროექტის მუხლი 9.7.4:

ექვსი წევრისა კორპორაციული წევრი აუდიტური ფირმებიდან (გარდა „დიდი ოთხეულისა“) ან/და ინდივიდუალურად მოქმედი აუდიტორებიდან.

ჩემი კომენტარი/რეკომენდაცია:

ეს ჩანაწერი, ამ რედაქციით **ნიშნავს სპეციალურად მოფიქრებულ და ორგანიზებულ შეღუდვის ბარიერს, დისკრიმინაციას ბაფის იმ წევრებისათვის, რომლებიც არ არიან ბაფის კორპორატიულ წევრ კომპანიაში დასაქმებული** და არ არიან რეგისტრირებული ინდივიდუალურ აუდიტორად saras.gov.ge-ზე. ეს შეზღუდვა შეეხება ბაფის წევრ თითქმის 78 აუდიტორს („თითქმის" იმიტომ აღვნიშნე, რომ ბაფი ამ მონაცემებს წევრებზე არ აანალიზებს, ბევრ პროცესის მართვისათვის საჭირო და აუცილებელი დოკუმენტსა და ინფორმაციას არ ფლობს, არ ითვალისწინებს IFAC-ის მიერ რეკომენდებულ პროფესიული ორგანიზაციების მართვის საუკეთესო პრაქტიკას - არ ატარებს წევრების გამოკითხვებს მათი საჭიროებებზე, მიაჩნიათ, რომ ამას კარგად აკეთებს „სარასი" და ეს სრულიად საკმარისია) ანუ **აუდიტორთა მნიშვნელოვანი ნაწილის დისკრიმინაციის დადასტურებული ფაქტი სახეზეა.** ჩემ მიერ ამ ნორმის 2022 წლის 19 ოქტომბრის სხდომაზე გააქტიურების მიუხედავად, ბაფის გამგეობამ წესდების ცვლილების პროექტში შესაბამისი ცვლილებისათვის დღემდე ვერ მოიცალა. ეს მუხლი, ამ რედაქციით თუ დარჩა, ცუდია ფედერაციის განვითარებისათვის, მისი წევრების ინფორმაციის ვაკუუმში, ათასი გამოწვევების ამარა, დაუცველ გარემოში დარჩენისათვის! ბაფის მენეჯმენტი და გამგეობის ზოგიერთი წევრი იმ დონეზეა „დასული", რომ ბედავენ და ბაფის გამგეობის წევრებს (ავიწყდებათ რა საუკეთესო პრაქტიკის რეკომენდაციები), მიუღებლად მიაჩნიათ გამგეობის წევრების, სხვა პირების მიერ ბაფის წესდებაში ცვლილებების ავკარგიანობაზე წევრებთან განხილვებთან დაკავშირებულ შეხვედრები და ამას პირდაპირ საოქმო გადაწყვეტილებაში აფიქსირებენ, რომელიც ქმნის გარემოს ბაფის წევრების მიერ 2022 წლის 24 დეკემბრის კრებაზე გაუცნობიერებელი გადაწყვეტილების მიღებისათვის.

7. ჩემს მიერ ბაფის გამგეობის სხდომაზე გააქტიურებულ იქნა წესდებაში ცვლილების ერთ-ერთ მუხლად გაგვეთვალისწინებინა შემდეგი შინაარსის დებულება:

„დაუშვებელია ერთი აუდიტორული /ბუღალტრული კომპანიიდან ერთზე მეტი წარმომადგენლის არჩევა ბაფის გამგეობის წევრად".

ამ მოსაზრებისადმი გამგეობის რამოდენიმე წევრისაგან აგრესიულად, მთელი კატეგორიულობით გამოხატული უარყოფითი დამოკიდებულება იმის დასტურია, რომ ღიად რჩება ბაფის გამგეობის წევრების შემადგენლობაში ბაფის წევრი დომინანტი წევრების (ერთი კომპანიიდან 2, 3 ან 4 ადამიანის შემადგენლობით) კლასტერის ანუ ჯგუფური ინტერესის ფორმირების შესაძლებლობის საკითხი, რომელიც მიუღებელია ბაფის კარგი და ეფექტიანი მართვისათვის. არ არის კარგი პრაქტიკა, როცა ერთი კომპანიიდან ბაფის გამგეობაში წარმოდგენილი იყოს ორი და მეტი თანამშრომელი.

ამ წესდებაში ცვლილებასთან, აგრეთვე სხვა აქტუალურ საკითხებზე ჩემი კომენტარები და რეკომენდაციები ბაფის წევრებთან (ოღონდ მხოლოდ ბაფის წევრებთან) ამით არ მთავრდება, მე მექნება სურვილი შევხვდე ბაფის ამ საკითხებით დაინტერესებულ წევრებს სხვა ფორმატშიც და საშუალებების გამოყენებით.

ასევე, მიზანშეწონილად მიმაჩნია წესდებაში ჩაიწეროს : ბაფის გამგეობის წევრი შეიძლება არჩეულ იქნეს უწყვეტად არაუმეტეს ორჯერ ", რადგან „კარგი პრაქტიკის" მიხედვით მნიშვნელოვნად არის მიჩნეული, რომ შეიზღუდოს გამგეობის წევრების უფლებამოსილების ვადა, რადგან ახალ წევრებს ხშირად ახალი იდეები და პერსპექტივები შემოაქვთ. ცხადია, ეს შეზღუდვა უნდა დაბალანსდეს უწყვეტობის შენარჩუნების მცდელობით.

P.S. ზემოაღნიშნულის საფუძველზე მაქვს მზადყოფნა ბაფის წევრებს შევთავაზო ქვემოაღნიშნული ალტერნატივა:

ალტერნატივა-I. 2022 წლის 24 დეკემბერს ბაფის საერთო კრებაზე მხარი არ დავუჭიროთ დღის წესრიგში ბაფის წესდებაში ცვლილების საკითხის გათვალისწინებას და მოვითხოვოთ კრების ოქმში

დაფიქსირდეს ამ საკითხზე, მათ შორის ბაფის გამგეობის წევრების არჩევის პროცედურებთან დაკავშირებული **ბაფის გამგეობის სხდომების გადაწყვეტილებების გაუქმება.** კრებამ დაავალოს ბაფის გამგეობას შესაძლო მოკლე დროში მოამზადოს ბაფის წესდებაში ცვლილებების ახალი პროექტი თანამედროვე გამოწვევების (რეალური კარგი პრაქტიკის) გათვალისწინებით, წარმოადგინოს ის ბაფის წევრების საჯარო განხილვებისათვის და 2023 წლის განმავლობაში დააორგანიზოს ამ საკითხის განხილვასთან დაკავშირებული შეხვედრები, ხოლო 2023 წლის დეკემბრის თვეში დანიშნული საერთო კრების დღის წესრიგში გაითვალისწინოს მისი განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.

ბაფის წევრებს 2022 წლის 24 დეკემბრის საერთო კრების დასაწყისში დღის წესრიგის საკითხის განხილვა-დამტკიცების თემის გააქტიურებამდე, ანუ მას შემდეგ, როცა კრების უფლებამოსილება (ქვორუმის საკმარისობა) დადასტურდება, ბაფის წევრს მურად ნარსიას, აგრეთვე სხვა ასეთი სურვილის მქონე წევრებს მიეცეთ შესაძლებლობა 10-წუთიანი შესაბამისი განცხადების გაკეთებისათვის, მათ შორის ხმის დამთვლელ კომისიის (იმის გამო, რომ ონლაინ რეჟიმში ხმის დამთვლელი კომისიის არჩევისა და მათ საქმიანობასთან დაკავშირებული პრობლემები რომ წარმოიქმნებოდა, წინასწარ უნდა განეჭვრითა გამგეობას მაშინ როცა ღებულობდა გადაწყვეტილებას კრების ონლაინ რეჟიმში ჩატარებაზე) შემადგენლობასთან დაკავშირებით.

ბაფის წევრს მურად ნარსიას, აგრეთვე ბაფის სხვა წევრებს, მიეცეს შესაძლებლობა კრებაზე ანგარიშებში დეკლარირებულ მოხსენებებში განივთებულ საკითხების განხილვაში მონაწილეობის, 10-წუთიანი რეგლამენტით, აგრეთვე კითხვების დასმისათვის.

ალტერნატივა-2. ბაფის გამგეობამ 2022 წლის ნოემბრის თვეში მიიღოს გადაწყვეტილება ბაფის წესდებაში ცვლილების საკითხზე მიღებული ყველა გადაწყვეტილების გაუქმებისა და საერთო კრების დღის წესრიგის კორექტიული ვარიანტის დამტკიცებისა ისეთი ანგარიშით, რომ ბაფის წევრებს კრების გახსნის კვალობაზე მიეცეთ შესაძლებლობა განცხადების გაკეთებისა და ეს გაითვალისწინონ კრების დღის წესრიგში.

ქ.თბილისი, 2022 წლის 15 ნოემბერი
მურად ნარსია: ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი, აუდიტორი, ბაფის გამგეობის წევრი 2022 წლის 18 აგვისტოდან